პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს

გადაწყვეტილება № 21

2016 წ. "22" 09

ქ.თბილისი

სსიპ - საზოგადოებრივ კოლეჯ „ოპიზარისათვის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ

დაწესებულების მიერ თვითშეფასების ანგარიშში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 25-ე მუხლის მე-4 პუნქტისა და 30[1]-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად,

საბჭომ გადაწყვიტა:

1.სსიპ - საზოგადოებრივ კოლეჯ „ოპიზარს" (ს/კ: 224066980) მიენიჭოს უფლება დამატებით განახორციელოს შემდეგი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები:

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების საფეხური	მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია	კრედიტების რაოდენობა	ადგილების ზღვრული რაოდენობა	განხორციელების ადგილი
1	ბუღალტერი	V	ბუღალტრის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	159	60	ქ. ახალციხე, რუსთაველის 106
2	მეცხოველეობა (მესაქონლეობა) (დუალური)	IV	მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია მეცხოველეობაში (მესაქონლეობაში)	93.5	24	ქ. ახალციხე, რუსთაველის 106

3	ინფორმაციული ტექნოლოგიების მხარდაჭერის სპეციალისტი	III	ინფორმაციული ტექნოლოგიების მხარდაჭერის სპეციალისტის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	95	60	ქ. ახალციხე, რუსთაველის 106

2.პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2016 წლის 22 სექტემბრის №11 სხდომის ოქმის მეორე ნაწილი ცნობილ იქნას ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.

3.პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მ. ალექსიძის ქ. №1 ან ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი №6.

თავმჯდომარე
ქეთევან ჯაყელი

მდივანი
მაია ჩიხლაძე